https://tobaccocontrol.bmj.com/content/29/3/245

თამბაქოს ხელმისაწვდომობა COVID-19-ის დროს

COVID-19-ის პანდემია, რომელიც 2019 წლის მიწურულს დაიწყო ჩინეთში, სრაფად გავრცელდა და მთელ მსოფლოს შექმნა ჯანმრთელობისა და ეკონომიკური გადაუდებელი დახმარების საჭიროება. საფრთხის სიმძიმემ აიძულა მთავრობები და ბიზნესი, სასწრაფოდ დაეყენებინათ საზოგადოებრივი ჯანმრთელობა ეკონომიკურ პრინციპებზე მაღლა. ბიზნესის დახურვამ გამოიწვია უეცარი უმუშევრობა. მოხდა ისეთი ინდუსტრიების ნაციონალიზაცია, როგორიცაა პირადი ჯანდაცვა, ავიაკომპანიები და სხვა. მთავრობები თავიანთ ეკონომიკაში ფულს აბრუნებენ მასტიმულირებელი პაკეტებითა და სოციალური დახმარებებით. კერძო სექტორში, მანქანების მწარმოებლები სამედიცინო აღჭურვილობის დამზადებაზე გადადიან, ალკოჰოლის კომპანიები ხელის სანიტარულ ხსნარებს აწარმოებენ და მრავალ სხვა სექტორში ასევე მიმდინარეობს სწრაფი ტრანსფორმაცია საჭიროებიდან გამომდინარე.

COVID-19 უჩვეულო მოვლენაა, რომელიც მოითხოვს ჯანმრთელობის დაცვის სისტემების მხრიდან ექსტრემალური ზომების მიღებას. ამასთან, თამბაქოს ეპიდემიაც უდიდეს ტვირთად რჩება მსოფლიოში. წინამდებარე სტატიის წერის დროს, COVID-19-ის გამო მსოფლიოში სიკვდილის მაჩვენებელი სულ 53 000,11-ზე მეტი იყო, მაშინ, როცა თამბაქოს მოხმარებით გამოწვეული სიკვდილიანობა ყოველწლიურად მსოფლიოში 8 მილიონზე მეტია (მათ შორისაა სიკვდილი, რომელიც გამოწვეულია მეორადი მწეველობისგან). მე–20 საუკუნის განმავლობაში თამბაქოს მოხმარების შედეგად დაგროვილი სიკვდილიანობა 100 მილიონს შეადგენდა და წინასწარი შეფასებით, ეს მაჩვენებელი მიმდინარე საუკუნეში 1 მილიარდსაც შეიძლება გაუტოლდეს. COVID-19-ით გამოწვეული სიკვდილების რაოდენობა სავარაუდოდ გააგრძელებს ზრდას ბევრ ქვეყანაში, საბოლოო ჯამში კი, მისი ოდენობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად აგრესიულად მიიღებენ ცალკეული ქვეყნები ვირუსის შემაკავებელ ზომებს. ჩინეთში, სულ ცოტა 3300 ადამიანი დაიღუპა COVID-19-ს გამო, მაშინ, როცა დაახლოებით 1 მილიონი ადამიანი იღუპება თამბაქოსგან ყოველწლიურად. იტალიაში, სადაც ამჟამად ყოველი მილიონი მოსახლეობიდან სიკვდილიანობის მაჩვენებელი ყველაზე მეტია, თითქმის 14 000 ადამიანის სიკვდილი გამოიწვია covid-19-მა, მაშინ, როცა თამბაქო ყოველწლირად იქ 93 300 ადამიანს კლავს. ორივე ქვეყანა COVID-19 ინფექციის მწვერვალთან ახლოს არის, თუმცა ასევე არსებობს მეორე ტალღის საფრთხე. ამის მიუხედავად, COVID-19 პანდემია შესაძლოა დიდხანს არ გაგრძელდეს, რადგან ვაქცინა და ეფექტური მკურნალობა მალე ხელმისაწვდომი გახდება. სავარაუდოა, რომ COVID-19 -ით გამოწვეული სიკვდილიანობის უკიდურესი და მზარდი წლიური მაჩვენებელი არასოდეს გაუტოლდეს თამბაქოს მოწევისგან გამოწვეულ სიკვდილიანობის მაჩვენებელს.

მიუხედავად იმისა, რომ შეზღუდული მტკიცებულებებით ნავარაუდებია, რომ მწეველების ჰოსპიტალიზაციის შემთხვევები COVID-19-ის დროს უფრო ხშირია და მათთვის უფრო დიდია ინფექციის გამო ცუდი შედეგების რისკები, ვიდრე არამწეველებისთვის, თამბაქოს ინდუსტრია კვლავ შეუვალია და მაგალითად, კომპანია British American Tobacco-ს განცხადებით, მათი მომხმარებლები კვლავ აგრძელებენ თამბაქოს ნაწარმის შეძენას უმძიმეს ადგილებშიც კი.

საზოგადოებისთვის მომაკვდინებელი ვირუსისგან თავის დაცვასთან ერთად, ყველაზე ლეტალური სამომხმარებლო პროდუქტის წარმოების გაგრძელება იწვევს სერიოზულ კითხვას: რატომ უნდა გაგრძელდეს თმბაქოს ინდუსტრიის საქმიანობა პანდემიის დროს, რომელიც ფუნდამენტურად ცვლის მსოფლიოს?

სიგარეტის გაყიდვის აკრძალვიის საკითხი აშკარად სადავოა თუმცა მისი განხილვა პანდემიის დროს გადაუდებელია. როგორც ნიუ იორკის ოჯახის ექიმთა აკადემიამ განაცხადა, COVID-19- ით ჰოსპიტალიზებული მწეველთათვის მწვავე შედეგების გაზრდის რისკი და ზოგადად, ჰოსპიტალიზაციის შემცირება, რაც მოწევისგან თავის შეკავებით შეიძლება იქნას მიღწეული, შეიძლება სტიმული გახდეს სიგარეტის გაყიდვების შეზღუდვისთვის. ავსტრალიის ერთ შტატში ალკოჰოლის გაყიდვები შეიზღუდა,

რადგან ჯანდაცვის სისტემამ არ ხარჯოს რესურსები ამ პანდემიის დროს ალკოჰოლთან დაკავშირებული საკითხების გადასაჭრელად.

მწეველთათვის, შეცვლილი სოციალური გარემოებები შეიძლება გახდეს მოწევისგან თავის შეკავების საშუალება. გამოკითხვებმა აჩვენა, რომ თამბაქოს ნაწარმის მარტივი საცალო ხელმისაწვდომობა ხელს უშლის მწეველებს ცადონ მოწევაზე თავის დანებება. სიგარეტის ხელმისაწვდომობის შემცირება ან მისი არარსებობა ხელს შეუწყობს მწეველებს თავი დაანებონ მოწევას. თვითიზოლაციამ შეიძლება გაუადვილოს მწეველებს თავის დანებება, თუმცა ამ პროცესში ასევე ძალიან საჭიროა ადამიანებისთვის დახმარების გაწევა სტრესის მართვისთვის და ფსიქიკური ჯანმრთელობის რისკების შესამცირებლად.

როგორც ფსიქიატრიული დახმარების, ასევე მოწევის შეწყვეტისას მკურნალობა უნდა განიხილებოდეს, როგორც აუცილებელი სერვისები და პრიორიტეტული უნდა იყოს ამაღლებული სტრესის დროს. ზოგიერთი თავის დანებების სერვისი იყენებს ამ შესაძლებლობას, რომ წაახალისონ და ხელი შეუწყონ ადამიანებს მოწევისთვის თავის დანებებაში. ახლა შესაფერისი დროა აიკრძალოს სიარეტის საცალო გაყიდვები. სანამ არსებობს ძირითადი შეზღუდვები ტრანსპორტზე და ადამიანების გადაადგილებაზე, თამბაქოს მომარაგების ქსელები შეიძლება გამოყენებული იქნას უფრო საჭირო მიზნებისთვის. ამ დროისთვის პროდუქტებისა და ადამიანების გაძლიერებული კონტროლი და შემოწმება ასევე გააადვილებს უკანონო ბაზრების კონტროლსაც სახელმწიფოებს.

თამბაქოს პანდემია გავს COVID-19-ის მრუდის ნელ მოძრაობას. მრუდის გასწორება აუცილებელია. თუ მთავრობები იმოქმედებედნენ თამბაქოსგან საზოგადოების დასაცავად იმ ძალისხმევით (და ფინანსური ინვესტიციით), რაც კორონავირუსის კონტროლისთვის გამოიყენეს, მრავალი მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიძლება გადარჩენილიყო და მნიშვნელოვნად შემცირებულიყო ჯანმრთელობის დაცვაზე მოთხოვნაც. არც ახლაა გვიანი. სიგარეტის გაყიდვების შეწყვეტით საზოგადოებრივი ჯანმრთელობის გრძელვადიანი სარგებელი იქნება მიღებული. ამასთან, აუცილებელია სწრაფი მოქმედება, რადგან COVID-19-ის პირობებში გადამწყვეტი მოქმედებების განხორციელების დაყოვნებამ შეიძლება ბევრი სიცოცხლე მოითხოვოს საფასურად.

https://seatca.org/philippine-towns-ban-smoking-during-covid-10-pandemic/

ფილიპინების ქალაქებმა COVID-19-ის პანდემიის დროს მოწევა და სიგარეტის რეალიზაცია აკრძალა

ფილიპინების სამ ქალაქში, COVID-19-ის პანდემიის შეჩერების მიზნებისთვის, მთელი საკარანტინო პერიოდის ვადით აიკრძალა სიგარეტებისა და სხვა თამბაქოს ნაწარმების მოწევა.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია მკაფიოდ აცხადებს, რომ მოწევა და ე.წ ვეიპინგი უდავოდ საზიანოა. COVID-19-ის შესახებ არსებული მტკიცებულებები აჩვენებს, რომ მწეველმა და ნიკოტინის შემცველი მოწყობილობების მომხმარებელმა ადამიანებმა უნდა დაანებონ თავი ამ მავნე ჩვევას, რათა შეამცირონ ინფექციის რისკი და ფილტვების ძლიერი დაზიანება. გარდა ამისა, მწეველები და ნიკოტინის შემცველი მოწყობილობების მომხმარებლები, რომლებიც არიან ვირუსის ასიმპტომური მატარებლები, ადვილად შეიძლება გახდნენ ვირუსის გადამცემები მათ გარშემო მყოფი პირებისთვის, რომლებიც მეორადი კვამლის ან აეროზოლის ზემოქმედების ქვეშ არიან.